

საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 2003 წლის 1 თებერვალი

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის  
2002 წლის 7 მაისის N 1386 დადგენილებით

**ევროპის კონვენცია კინემატოგრაფიულ კოპროდუქციაზე  
სტრასბურგი, 1992 წლის 2 ოქტომბერი**

**პრეამბულა**

ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები და სხვა ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის კულტურული კონვენციის მხარეებს, ამ დოკუმენტის ხელმომწერნი, თვლიან რა რომ ევროპის საბჭო მოწოდებულია მიაღწიოს წევრი ქვეყნების სრულ ერთიანობას, რათა დაცული და განვითარებული იქნას მათი საერთო იდეალები და მემკვიდრეობა:

მიიჩნევენ რა, რომ შემოქმედებისა და გამოხატვის თავისუფლება არის ამ პრინციპების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტი;

მიიჩნევენ რა, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კულტურული მრავალფეროვნების დაცვა არის ევროპის კულტურული კონვენციის ერთ-ერთი მიზანი;

მიიჩნევენ რა, რომ ევროპის მასშტაბით უნდა გაძლიერდეს კინემატოგრაფიული კოპროდუქცია, როგორც კულტურული მრავალფეროვნების შექმნისა და გამოხატვის ინსტრუმენტი;

ასკვნიან რა, რომ განავითარონ პრინციპები, რომლებიც დაფუძნებულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებზე კინემატოგრაფიისა და აუდიოვიზუალურ სფეროში, განსაკუთრებით რეკომენდაცია N R (86) 3, რომელიც ევროპაში აუდიოვიზუალური პროდუქციის განვითარებას ეხება;

აღიარებენ რა, რომ ევროპის ფონდის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კინემატოგრაფიული და აუდიოვიზუალური შემოქმედების განვითარებას და გავრცელებას აგრეთვე იმპულსს მისცემს ევროპული კინემატოგრაფიის კოპროდუქციას;

ასკვნიან რა, რომ განახორციელონ ეს კულტურული მიზნები ერთობლივი ძალისხმევით შედეგად რათა გაიზარდოს წარმოება და განისაზღვროს წესები, რომელთა შესაბამისად განვითარდება ადაპტაციის პროცესში მრავალსპექტრიანი ევროპული კინემატოგრაფიის კოპროდუქციაში;

მიიჩნევენ რა, რომ საერთო წესების მიღება შეამცირებს აკრძალვებს და ხელს შეუწყობს ევროპაში კინემატოგრაფიის სფეროში თანამშრომლობასა და კოპროდუქციას;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### თავი I – ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1- კონვენციის მიზანი

კონვენციის მხარეები იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ევროპული კინემატოგრაფიის კოპროდუქციის განვითარებას, რომელიც დაფუძნებულია შემდეგ დებულებებზე.

#### მუხლი 2 – ვალდებულებები

1. მოცემული კონვენცია მართავს ურთიერთობებს მხარეებს შორის მრავალმხრივი კოპროდუქციის სფეროში, რომელიც ხორციელდება მხარეების ტერიტორიაზე.
2. მოცემული კონვენცია შეეხება:
  - ა. კოპროდუქციას, რომელშიც ჩართულია სულ ცოტა სამი კოპროდიუსერი და შექმნილია კონვენციის სამი სხვადასხვა მხარის მიერ; და
  - ბ. კოპროდუქციას, რომელშიც ჩართულია სულ ცოტა სამი კოპროდიუსერი და შექმნილია კონვენციის სამი სხვადასხვა მხარის მიერ და ერთი ან მეტი კოპროდიუსერი, რომელიც არ არის დაფუძნებული ამ მხარეების მიერ. იმ კოპროდიუსერთა მთლიანი წილი, რომლებიც არ არიან დაფუძნებული კონვენციის მხარეების მიერ, არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის საერთო ღირებულების 30 %-ს.

ყველა შემთხვევაში კონვენცია ეხება მხოლოდ იმ პირობებს, როდესაც ერთობლივი პროდუქცია პასუხობს ევროპული კინემატოგრაფიული პროდუქციის განსაზღვრებას, რომელიც მოცემულია ქვემოთ, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში.

3. მხარეებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულების დებულებები უნდა ესადაგებოდეს ორმხრივ კოპროდუქციას. მრავალმხრივი კოპროდუქციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ მოცემული კონვენციის დებულებებს იმ ორმხრივი ხელშეკრულებების დებულებებზე, რომლებიც კონვენციის მხარეებს შორის არის დადებული, ორმხრივი კოპროდუქციის დებულებები რჩება ძალაში, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებიან კონვენციის დებულებებს.

4. კონვენცია ესადაგება ორმხრივ კოპროდუქციას იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობებს ორმხრივი კოპროდუქციისას კონვენციის ორ მხარეს შორის. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი მხარის მიერ წინასწარ არის განსაზღვრული პირობები მე-20 მუხლის შესაბამისად.

### მუხლი 3 – განსაზღვრებები

მოცემული კონვენციისათვის:

ტერმინი “კინემატოგრაფიული პროდუქცია” ნიშნავს ნებისმიერი ხანგრძლივობის ნაწარმოებს ან საშუალებას, განსაკუთრებით ისეთ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს, როგორებიცაა ფანტასტიკური, მულტიპლიკაციური და დოკუმენტური ნაწარმოებები, რომელიც ესადაგება კინოინდუსტრიის წარმართველ დებულებებს და გამიზნულია კინოთეატრებში ჩვენებისათვის;

1. ტერმინი “კოპროდიუსერები” ნიშნავს კინემატოგრაფიულ კომპანიებს ან მწარმოებლებს (პროდიუსერებს), რომლებიც დაფუძნებული არიან კონვენციის წევრი ქვეყნების (მხარეების) ტერიტორიებზე და დაკავშირებულნი არიან კოპროდუქციის კონტრაქტით.
2. ტერმინი “ევროპული კინემატოგრაფიული პროდუქცია” ნიშნავს კინემატოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელიც პასუხობს იმ პირობებს, რომლებიც განსაზღვრული არიან დამატებებში (II), რომლებიც შეადგენენ მოცემულ კონვენციის განუყოფელ ნაწილს.
3. ტერმინი “მრავალმხრივი კოპროდუქცია” ნიშნავს ისეთ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელიც შექმნილია სულ ცოტა სამი თანამწარმოებლის მიერ როგორც განსაზღვრულია მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში.

### თავი II – კოპროდუქციის წესები

#### მუხლი 4 – ეროვნულ ფილმებთან შერწყმა

1. ის ევროპული კინემატოგრაფიული პროდუქცია, რომელიც ერთობლივ ნამუშევარს წარმოადგენს და ამ კონვენციით გათვალისწინებულ დებულებებს აკმაყოფილებს, ისარგებლებს იმ პრივილეგიებით, რომლებსაც ამ კონვენციის ხელისმომწერი ქვეყნები თავიანთი მოქმედი კანონმდებლობის და დებულებების საფუძველზე ანიჭებენ თავიანთ კინემატოგრაფიულ პროდუქციას.
2. მოგება უნდა განაწილდეს თითოეულ კოპროდიუსერზე იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც ძალაშია მხარის მოქმედი კანონმდებლობის და მოცემული კონვენციის შესაბამისად.

## მუხლი 5 – კოპროდიუსერის სტატუსის მოპოვების პირობები

1. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთა კოპროდუქცია შეთანხმებულ უნდა იქნას იმ მხარის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან, რომლის ტერიტორიაზეც ის არის დაფუძნებული, რასაც წინ უნდა უძღვოდეს კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებთან კონსულტაციები და დაცული უნდა იქნას პროცედურა, რომელიც ჩამოყალიბებულია დამატებებში (I). დამატებები წარმოადგენს მოცემული კონვენციის განუყოფელ ნაწილს.
2. განაცხადი კოპროდიუსერის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ უნდა იქნას შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში იმ პროცედურის დაცვით, რომელიც განსაზღვრულია დამატებებში (I). ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამხატვრო, ფინანსური ან ტექნიკური სახის პრობლემების შედეგად საწყის ეტაპზევე კრახს განიცდის წამოწყება.
3. პროექტებს, სადაც აშკარად არის გამოხატული პორნოგრაფია, ან შეიცავს ძალადობის პროპაგანდას ან ადამიანთა ღირსების შელახვას, არ შეიძლება მიენიჭოთ კოპროდუქციის სტატუსი.
4. კოპროდუქციის სტატუსით მიღებული მოგება უნდა გადაეცეს კოპროდიუსერებს, რომლებიც უნდა ფლობდნენ შესაბამის კოპროდიუსერებს, რომლებიც უნდა ფლობდნენ შესაბამის ტექნიკურ და ფინანსურ საშუალებებს და სათანადო პროფესიულ დონეს.
5. კონვენციის წევრმა ყველა ქვეყანამ უნდა განსაზღვროს მე-2 მუხლში მოხსენებული კომპეტენტური ორგანოს და წარადგინოს განაცხადი კონვენციაზე ხელმოწერის ან რატიფიკაციის დოკუმენტის წარდგენის მომენტისათვის. ეს განაცხადი შესაძლოა შეცვლილ იქნას შემდგომ პერიოდში ნებისმიერ დროს.

## მუხლი 6 – თითოეული კოპროდიუსერის შენატანის თანაფარდობა

1. მრავალმხრივი კოპროდუქციის შემთხვევაში, მინიმალური შენატანი არ უნდა იყვეს 10%-ზე ნაკლები, ხოლო მაქსიმალური შენატანი არ უნდა აღემატებოდეს კინემატოგრაფიული პროდუქციის 70%-ს. როდესაც მინიმალური შენატანი 20%-ზე ნაკლებია, შესაბამის მხარეს შეუძლია შეზღუდოს ან გააუქმოს ასეთი პროდუქციის მიმართებით წარმოების დახმარების სახელმწიფო სისტემა.
2. როდესაც მოცემული კონვენცია ხორციელდება ორ მხარეს შორის ორმხრივი შეთანხმებით მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებების შესაბამისად, მინიმალური შენატანი არ უნდა იყვეს 20%-ზე ნაკლები, ხოლო მაქსიმალური შენატანი არ უნდა აღემატებოდეს კინემატოგრაფიული პროდუქციის 80%-ს.

## მუხლი 7 – კოპროდიუსერთა უფლებები

1. კოპროდუქციის კონტრაქტის არის გარანტია თითოეული კოპროდიუსერისათვის სურათის ორიგინალისა და გახმოვანების ნეგატივების ერთობლივ მფლობელობაზე, კონტრაქტი უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლის მიხედვითაც მხარეები წინასწარ ათანხმებენ ნეგატივების შენახვის ადგილს და გარანტიებს თავისუფალ ხელმისაწვდომობაზე.
2. კოპროდუქციის კონტრაქტი უნდა შეიცავდეს თითოეული კოპროდიუსერისათვის დუბლ-ნეგატივის ან სხვა სახის დუბლიკატის გარანტირებულ უფლებას.

#### მუხლი 8 – ტექნიკური და სამხატვრო მონაწილეობა

1. თითოეული კოპროდიუსერის წილი უნდა ითვალისწინებდეს ეფექტურ ტექნიკურ და სამხატვრო მონაწილეობას. მხარეების საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, კოპროდიუსერების შემოქმედებითი, ტექნიკური და სამხატვრო, აგრეთვე სამსახიობო და აპარატურის წილი პროპორციული უნდა იყოს მათი ინვესტიციის.
2. მხარეების საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ფილმის გადაღებაში ჩართული სამსახიობო და ტექნიკური პერსონალი უნდა იყოს კოპროდუქციის პარტნიორი ქვეყნების მოქალაქე და პოსტ-პროდუქციას ჩვეულებრივ უნდა განხორციელდეს ამ ქვეყნებში.

#### მუხლი 9 - ფინანსური კოპროდუქციები

1. მიუხედავად მე-8 მუხლის დებულებებისა და იმ პირობებისა და შეზღუდვებისა, რომელიც ჩამოყალიბებულია მხარეების მოქმედი კანონმდებლობასა და აქტებში, კოპროდუქციებს შესაძლოა მიენიჭოს კოპროდუქციის სტატუსი მოცემული კონვენციის დებულებების შესაბამისად, თუკი ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:
  - ა. კოპროდუქციული შენატანი ნიშნავს შენატანს, რომელიც შესაძლოა მხოლოდ ფინანსური ხასიათის იყოს და კოპროდუქციის კონტრაქტის შესაბამისად, არ უნდა იყოს კინემატოგრაფიული პროდუქციის ღირებულების 10%-ზე ნაკლები და 25%-ზე მეტი;
  - ბ. შეიცავს მნიშვნელოვანი წილის მქონე კოპროდიუსერს, რომელიც ეფექტურ ტექნიკურ და სამხატვრო შენატანს ახორციელებს და აკმაყოფილებს კინემატოგრაფიული პროდუქციის პირობებს, რომელიც აუცილებელია მის ქვეყანაში ეროვნული პროდუქციის სტატუსის მისაღებად;
  - გ. ხელს უწყობენ ევროპული ინდივიდუალობის განვითარებას; და
  - დ. ასახული არიან კოპროდუქციის კონტრაქტში, რომელიც შეიცავს დებულებას ხარჯთაღრიცხვის მიწოდების შესახებ.
2. ფინანსური კოპროდუქცია შესაძლოა დაკვალიფიცირდეს როგორც კოპროდუქცია მას შემდეგ, რაც კომპეტენტური ორგანოს მიერ ყველა კონკრეტული შემთხვევებისათვის მიღებული იქნება შესაბამისი

გადაწყვეტილება, განსაკუთრებით მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ქვემოთ მოცემული მე-10 მუხლის დებულებები.

#### მუხლი 10 – საერთო ბალანსი

1. მხარეებს შორის კინემატოგრაფიული ურთიერთობებისას შენარჩუნებულ უნდა იქნას საერთო ბალანსი, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორც ინვესტიციის ჯამური რაოდენობა, ასევე კინემატოგრაფიულ პროდუქციაში სამხატვრო და ტექნიკური მონაწილეობა.
2. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მხარეს, რომელიც უკმაყოფილო იქნება კოპროდუქციის ურთიერთობებით ერთ ან მეტ მხარესთან, თავისი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მოტივით უფლება აქვს შეაჩეროს შემდგომი კოპროდუქცია, სანამ არ აღდგება კინემატოგრაფიული ურთიერთობების ბალანსი მხარეებთან.

#### მუხლი 11 – შესვლა და დაბინავება

მოქმედი კანონმდებლობიდან და საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ყველა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს კოპროდუქციის პარტნიორს (პარტნიორებს) მათ ქვეყნებში შესვლასა და დაბინავებაში, აგრეთვე მისცეს უფლება სამუშაოთა წარმოებისა მათ ტერიტორიაზე, შეაყვანინოს სამხატვრო, კოლექტიური და ტექნიკური პერსონალი. ამასთანავე თითოეულმა მხარემ უნდა გასცეს ნებართვა კინემატოგრაფიული პროდუქციისათვის საჭირო აღჭურვილობის დროებით იმპორტზე და რეექსპორტზე კონვენციის ფარგლებში.

#### მუხლი 12 – კოპროდუქციის ქვეყნების კრედიტები

1. უნდა განხორციელდეს კოპროდუქციის ქვეყნების კრედიტირება კინემატოგრაფიული სამუშაოების განხორციელებისათვის.
2. ამ ქვეყანათა სახელები ნათლად უნდა იყოს მოცემული საკრედიტო თავფურცელზე, აგრეთვე პრესაში და სარეკომენდაციო დოკუმენტებში, აგრეთვე კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთა ჩვენებისას.

#### მუხლი 13 – ექსპორტი

როდესაც კოპროდუქციული კინემატოგრაფიული პროდუქციის ექსპორტი ხდება ქვეყანაში, სადაც კინემატოგრაფიული პროდუქციის იმპორტზე არსებობს ქვოტა, ხოლო კოპროდუქციის პროცესში ჩართულ ერთ-ერთ ქვეყანას არა აქვს თავისი კინემატოგრაფიული ნაწარმოების თავისუფალი შეტანის უფლება იმპორტის ქვეყანაში:

- ა. კინემატოგრაფიული ნაწარმოები ჩვეულებრივ უნდა დაემატოს იმ ქვეყნის ქვოტას, რომლის შენატანიც ყველაზე მეტია;
- ბ. იმ შემთხვევაში, როდესაც რამოდენიმე ქვეყანას ერთი და იგივე რაოდენობის შენატანი აქვს, მაშინ უპირატესობა კინემატოგრაფიული ნაწარმოების ქვოტის მინიჭებისას ენიჭება იმ ქვეყანას, რომელსაც უკეთესი შესაძლებლობები გააჩნია ექსპორტირებისთვის იმპორტის ქვეყანაში;
- გ. როდესაც შემთხვევას არ ესადაგება ზემოაღნიშნული ა და ბ დებულებები, მაშინ ქვოტა დაემატება იმ ქვეყანას, რომლის წარმომადგენელიც არის დირექტორი.

#### მუხლი 14 – ენის საკითხი

კოპროდუქციის სტატუსის თანახმად, მონაწილე ქვეყნის (მხარის) კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს თავის ტერიტორიაზე დაფუძნებულ კოპროდიუსერის კინემატოგრაფიული პროდუქციის საბოლოო ვარიანტი ამ ქვეყნის ერთ-ერთ ენაზე.

#### მუხლი 15- ფესტივალები

თუკი კოპროდიუსერის მიერ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, კოპროდუქციის კინომატოგრაფიულ ნაწარმოები ნაჩვენები უნდა იქნას საერთაშორისო ფესტივალზე იმ ქვეყანაში, რომლის შენატანის ხვედრითი წილი ყველაზე მეტია, ან, - თანაბარი შენატანების შემთხვევაში, იმ ქვეყანაში, რომლის წარმომადგენელიც არის დირექტორი.

#### თავი III- დასკვნითი დებულებები

##### მუხლი 16- ხელმოწერა, რატიფიკაცია, აღიარება, დამტკიცება

1. წინამდებარე კონვენცია გახსნილ უნდა იქნას ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისა და სხვა ქვეყნების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის კულტურული კონვენციის მხარეებს, რომელთაც შეუძლიათ გამოხატონ თანხმობა შემდეგი პირობებით:
  - ა. ხელმოწერა, როდესაც წინასწარ არ იქნება განსაზღვრული შემდგომი რატიფიკაცია, აღიარება ან დამტკიცება; ან
  - ბ. ხელმოწერა, რომელიც შემდგომში უნდა იქნას რატიფიცირებული, აღიარებული ან დამტკიცებული.
2. რატიფიკაციის, აღიარების ან დამტკიცების მექანიზმის დეპოზიტირება უნდა მოხდეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

##### მუხლი 17-ძალაში შესვლა

1. კონვენცია ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც ხუთი ქვეყანა, რომელთაგან სულ ცოტა ოთხი ევროსაბჭოს წევრი უნდა იყოს,

განაცხადებს თანხმობას კონვენციასთან მიერთების იმ დებულებების დაცვით, რომელიც ჩამოყალიბებულია მე-16 მუხლში.

2. იმ ხელმოწერი ქვეყნების გათვალისწინებს მიზნით, რომლებიც შემდგომ გამოხატავენ სურვილს კონვენციასთან მიერთების, კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს იმ თვის პირველ რიცხვში, რომელიც მოდის ხელმოწერიდან ან რატიფიკაციის, აღიარების ან დამტკიცების ინსტრუმენტის დეპოზიტირებიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.

#### მუხლი 16- არაწევრი ქვეყნების მიერთება

1. მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას, რომელიც არ არის ევროსაბჭოს წევრი. აგრეთვე ევროპის ეკონომიკურ კავშირს, მიუერთდნენ კონვენციას, უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ჩამოყალიბებულია ევროპის საბჭოს წესდების მე-20 მუხლის დ პუნქტში
2. იმ ქვეყნების, აგრეთვე ევროპის ეკონომიკური კავშირის გათვალისწინების მიზნით, რომლებიც მოგვიანებით მიუერთდებიან კონვენციას, კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს იმ თვის პირველ რიცხვში, რომელიც მოდის ხელმოწერიდან ან რატიფიკაციის, აღიარების ან დამტკიცების ინსტრუმენტის დეპოზიტირებიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.

#### მუხლი 19- ტერიტორიული საკითხები

1. ხელმოწერის პერიოდში ან რატიფიკაციის, აღიარების ან დამტკიცების ინსტრუმენტის დეპოზიტირებისას ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორიები, რომლებზედაც გავრცელდება კონვენცია.
2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოგვიანებით განცხადებით მიმართოს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს და გააფართოვოს მის მიერ წინასწარ განსაზღვრული ტერიტორია. ასეთი ტერიტორიების გათვალისწინების მიზნით კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს იმ თვის პირველ რიცხვში, რომელიც მოდის გენერალური მდივნის მიერ ასეთი განცხადების მიღებიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.
3. ნებისმიერი განცხადება, რომელიც წარდგენილია ზემოაღნიშნული ორი პუნქტის შესაბამისად და ეხება ტერიტორიების განსაზღვრის საკითხს, შესაძლოა გაუქმებულ იქნეს ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე, რომელიც უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. გაუქმება ძალაში შედის იმ თვის პირველ რიცხვში, რომელიც მოდის გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.



## მუხლი 20-წინაპირობები

1. ხელმოწერის ან რატიფიკაციის, აღიარების, დამტკიცების ან მიერთების ინსტრუმენტის დეპოზიტირების მომენტში ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი არ ეხება მის ორმხრივ კოპროდუქციულ წარმოებას ერთ ან რამოდენიმე ქვეყანასთან (მხარესთან). უფრო მეტიც, შესაძლოა განსაზღვრულ იქნას მაქსიმალური წილი, რომელიც განსხვავებული იქნება მე-9 მუხლის 1.ა პუნქტისაგან. სხვა წინაპირობების ჩამოყალიბება არ არის დაშვებული.
2. ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც განსაზღვრული აქვს პირობები წინა პუნქტის მიხედვით, შეუძლია იგი მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალოს ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი ოფიციალური შეტყობინებით. ცვლილება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების დღიდანვე.

## მუხლი 21- დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს კონვენციის დენონსაცია ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.
2. ასეთი დენონსაცია ძალაში შედის იმ თვის პირველ რიცხვში, რომელიც მოდის გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ექვსთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.

## მუხლი 22-შეტყობინებები

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა გაუგზავნოს შეტყობინება წევრ ქვეყნებს, სხვა ქვეყნებს და აგრეთვე ევროპის ეკონომიკურ კავშირს რომლებიც შესაძლოა მიუერთდნენ მოცემულ კონვენციას შემდეგ საკითხებზე:

- ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;  
რატიფიკაციის, აღიარების ან დამტკიცების ინსტრუმენტების დეპოზიტირების შესახებ;
- ბ. კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღი მე-17, 18 და 19 მუხლების შესაბამისად;
- დ. ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებულია მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;
- ვ. ნებისმიერი დენონსაციის შეტყობინება 21-ე მუხლის შესახებ;
- ვ. ნებისმიერი სხვა აქტი, შეტყობინება თუ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კონვენციასთან.

შედგენილია სტასბურგში, 1992 წლის 2 ოქტომბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და ორივე ტექსტი არის აუტენტიკური (თანაბარუფლებიანი), რომელთა თითო ეგზემპლარი გადაგზავნილ უნდა

იქნას ევროპის საბჭოს ბიბლიოთეკაში. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა დამოწმებული ასლები უნდა გადაუგზავნოს მე-16 პარაგრაფის 1 პუნქტში ჩამოთვლილ ქვეყნებს, აგრეთვე სხვა ქვეყნებსა და ევროპის ეკონომიკურ კავშირს, რომელიც შესაძლოა მოწვეულ იქნას კონვენციაზე მიერთებისათვის.

#### დამატება 1 – განაცხადის პროცედურა

კონვენციის დებულებების შესაბამისად, კოპროდიუსერებმა, რომლებიც დაფუძნებულნი არიან კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების ტერიტორიებზე, უნდა წარმოადგინონ განცხადება და ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები კოპროდუქციის სტატუსის მისაღებად გადაღებების დაწყებამდე ორი თვით ადრე. ეს დოკუმენტები გადაღების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს კომპეტენტური ორგანოებისათვის რათა ისინი დაუკავშირდნენ სხვა მხარეებს:

კონტრაქტის ასლი საავტორო უფლების შეძენაზე ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საავტორო უფლების შეძენას პროდუქციის კომერციული მიზნების გამოყენებისათვის;

1. დაწვრილებითი სცენარი;
2. ტექნიკური და მხატვრული წილის ნუსხა ყველა მონაწილე ქვეყნიდან;
3. დეტალური ფინანსური ანგარიში;
4. კინემატოგრაფიული პროდუქციის წარმოების გრაფიკი;
5. კოპროდიუსერებს შორის დადებული კოპროდუქციის კონტრაქტი. ეს კონტრაქტი უნდა შეიცავდეს დებულებებს კოპროდიუსერებს შორის შემოსავლებისა და ტერიტორიების განაწილების შესახებ.

შესაძლებლობის შემთხვევაში განცხადება წარდგენილ უნდა იქნას იმ კომპეტენტური ორგანოების ენაზე, რომელთაც ის წარედგინება. დოკუმენტების მიღების შემდეგ ქვეყნების კომპეტენტურმა ორგანოებმა ერთმანეთს უნდა გადაუგზავნონ განცხადებები და თანდართული დოკუმენტები. იმ ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ, რომელსაც მინიმალური ფინანსური შენატანი აქვს პროექტში, არ უნდა წარადგინოს თავისი თანხმობა სანამ ასეთ თანხმობას არ წარადგენს ქვეყანა მაქსიმალური შენატანით.

#### დამატება II

1. კინემატოგრაფიული პროდუქცია კვალიფიცირდება როგორც ევროპული მრ-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუკი იგი აკმაყოფილებს 19 პირობიდან 15-ს მაინც და რომელიც განსაზღვრულია ქვემოთ ევროპული ელემენტების განრიგით.

2. სცენარის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპეტენტურ ორგანოებს, ერთმანეთთან კონსულტაციების საფუძველზე, შეუძლიათ კოპროდუქციას მიანიჭონ ეს სტატუსი მაშინაც, როდესაც იგი ვერ აკმაყოფილებს აუცილებელ 15 პირობას, მაგრამ ამ ორგანოების თვალსაზრისით პროდუქცია ასახავს ევროპულ თვითმყოფადობას.

ევროპული ელემენტები	დატვირთვა
შემოქმედებითი ჯგუფი	3
დირექტორი	3
სცენარისტი	1
კომპოზიტორი	
	7
მსახიობთა ჯგუფი	
პირველი როლი	3
მეორე როლი	2
მესამე როლი	1
	6
ტექნიკური ჯგუფი	
ოპერატორი	1
ხმის ჩამწერი	1
რედაქტორი	1
სამხატვრო დირექტორი	1
სტუდიისა და გადასაღები ადგილი	1
პოსტ პროდუქციის	1

შენიშვნა:

ა. პირველი, მეორე და მესამე როლები განისაზღვრება ნამუშევარი დღეების მიხედვით.

ბ. მე-8 მუხლის შესაბამისად, ტერმინი “სამხატვრო” ნიშნავს შემოქმედებით და სამსახიობო ჯგუფს, “ტექნიკური” ნიშნავს ტექნიკურ და დამხმარე პერსონალს.